დანართი #1

საკონკურსო განცხადება

აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების საფუძველზე, აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი (საიდენტიფიკაციო კოდი 245428700) აცხადებს კონკურსს 2 (ორი) სატელევიზიო სტუდიის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით.

კონკურსანტმა არაუგვიანეს 2013 წლის 5 სექტემბრის 18 საათისა შემსყიდველის ადმინისტრაციულ მისამართზე: ბათუმი, მემედ აბაშიძის 41, დალუქულ პაკეტში უნდა წარმოადგინოს საკონკურსო წინადადება: **2 (ორი) სატელევიზიო სტუდიის დიზაინერული ესკიზი და სტუდიების მოწყობის მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა არაუმეტეს 31 000 (ოცდათერთმეტი ათასი) ლარის თანხაზე** (ელექტრონული ვერსია CD დისკზე ან შემსყიდველის ელექტრონულ მისamართზე: malkhazbolkvadze@yahoo.com).

1. **საინფორმაციო გამოშვების სტუდია:**

სტუდია განკუთვნილია საინფორმაციო გამოშვებებისათვის:

ა) **დღის საინფორმაციო გამოშვება (1 წამყვანი, ფეხზე დამდგარი);**
ბ) **მთავარი საინფორმაციო გამოშვება (2 წამყვანი, მაგიდასთან მსხდომი).**

2. **საოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ “დიალოგი”-ს სტუდია (1 წამყვანი და 1-4 სტუმარი).**

შენიშვნა: სტუდიები უნდა მოეწყოს დაშტრიხულ ზონაში (იხილეთ ნახაზები).

საკონკურსო წინადადებას უნდა ახლდეს საფასურის გადახდის ქვითარი, მოკლე აღწერა ანალოგიური გამოცდილებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის შესახებ.

გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმით:

შეფასების 10 ბალიანი სისტემა;

პრიორიტეტულობის კოეფიციენტი: დიზაინერული ესკიზი 0.7;

მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა 0.3.

გამარჯვებული გამოვლინდება 2013 წლის 6 სექტემბერს 17 საათზე.

გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდება სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება შემდეგი აუცილებელი პირობებით:

ა) ხელშეკრულების ღირებულება - 4 000 (ოთხი ათასი) ლარი;

ბ) მომსახურების გაწევის - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღე;

გ) ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის - პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით; დაგვიანებით შესრულებისათვის - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების 0.3%-ის ოდენონით;

დ) თუ ჯარიმების ოდენობა გადააცილებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.